საექსპერტო დასკვნა

„ტექნიკური რეგლამენტის – შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების დამტკიცების თაობაზე“ საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის №41 დადგენილებასთან შესაბამისობა

ობიექტი:	ინდივიდუალური ერთ ბინიანი საცხოვრებელი სახლი
მისამართი:	ქალაქი თბილისი, დაბა წყნეთი, რუსთაველის ქუჩა N1
საკადასტრო კოდი:	72.16.20.226
არქიტექტორ(ებ)ი:	**SPECTRUM**
ექსპერტი:	ლევანი ოქროპირიძე

თბილისი 2021

შ ე ნ ი შ ვ ნ ე ბ ი

- საპროექტო დასკვნა წარმოადგენს სანებართვო არქიტექტურული პროექტის საქართველოს მთავრობის 2016 წლის 28 იანვრის #41 დადგენილებასთან, ტექნიკური რეგლამენტის - "შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების" დამტკიცების თაობაზე შესაბამისობის შეფასებას და არ მოიცავს საქართველოს ტერიტორიაზე მოქმედ, სამშენებლო სფეროში გამოყენებულ სხვა რაიმე დადგენილებასთან შესაბამისობის ანალიზს.
- საექსპერტო დასკვნისთვის მოწოდებული დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე.
- დამკვეთი ვალდებულია შენობა-ნაგებობის მშენებლობა და შემდგომი ექსპლუატაციის პროცესი განახორციელოს წინამდებარე დასკვნის შესაბამისად და დასკვნაში აღნიშნული შენიშვნა-რეკომენდაციების გათვალისწინებით.
- პროექტის რაიმე სახის ცვლილებას მშენებლობის დროს ან ექსპლუატაციის მიღების შემდგომ ავტომატურად გამოიწვევს გაცემული საექსპერტო დასკვნის გაუქმებას
- საპროექტო შენობის არქიტექტურული დოკუმენტაციის ისეთი კორექტირება, რომელიც შეუსაბამობაში მოდის წინამდებარე დასკვნის ნაწილებთან, შეთანხმებული უნდა იყოს ექსპერტთან.
- ექსპერტი პასუხს აგებს მხოლოდ არქიტექტურული პროექტის რეგლამენტთან შესაბამისობაზე და არა მის განხორციელებაზე მშენებლობის პროცესში.
- კონსტრუქციული, სახანძრო უსაფრთხოების სისტემების და მასთან დაკავშირებული საინჟინრო-კომუნიკაციების პროექტები უნდა დამუშავდეს შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების წესების მოთხოვნათა დაცვით.
- მშენებლობის დროს დაცული უნდა იყოს წესების მე-20 თავის შესაბამისად
- საექსპერტო დასკვნაში გამოყენებული ტერმინები (დაკავებულობა, დაკავებულობის დატვირთვა, მისაწვდომობა და სხვა) შეესაბამება შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებში გამოყენებულ ტერმინებს და უნდა განემარტოს აღნიშნული წესების მიხედვით. განუმარტავი ტერმინები საყოველთაოდ მიღებული მნიშვნელობით გამოიყენება.

ტელ: 593 22 20 33
595 65 15 56

პროექტის აღწერილობა

- დაგეგმარების საფუძველი და მიზნები

ქალაქი თბილისი, სოფელი ლისი, (ს/კ 72.16.20.226) ინდივიდუალური ერთ ბინიანი საცხოვრებელი სახლის არქიტექტურული პროექტის დაგეგმარება თანამედროვე გეგმარების პრინციპების და შენობა-ნაგებობების უსაფრთხოების ნორმების გამოყენებით.

- მიწის ნაკვეთის მდებარეობა

საპროექტო ტერიტორია მდებარეობს თბილისში, სოფელი ლისი, რუსთაველის ქუჩა N1_ ში (ს/კ 72.16.20.226) ნაკვეთზე დაგეგმილია ინდივიდუალური ერთ ბინიანი საცხოვრებელი სახლის მშენებლობა. მიწის ნაკვეთის ფართობი შეადგენს 1006 კვ. მეტრს და წარმოადგენს დახრილ რელიეფს. მიწის ნაკვეთს ჩრდილო აღმოსავლეთით უკავშირდება მისასვლელი გზა, ხოლო დანარჩენ მხარეს კერძო მფლობელობაში არსებული მიწის ნაკვეთები ესაზღვრება.

- პროექტის შინაარსობრივი აღწერა

საპროექტო შენობა მიწის დონიდან 2 სართული და გააჩნია ერთი მიწისქვეშა სართული. შენობის მზიდი კონსტრუქცია რკინაბეტონისგან მოეწყობა. შენობის -I სართულზე განლაგებულია სარდაფი, ბავშვთა ოთახი, საძინებელი, და სატრენაჟორი სივრცეები. I სართულზე განლაგებულია სასტუმრო ოთახი, სამზარეულო, სველი წერტილი, აუზი და დახურული ავტოსადგომი. II სართულზე კი მოეწყობა საძინებლები. სართულები ერთმანეთთან დაკავშირებული იქნება ერთი გზა-კიბით. მიწისქვეშა სართულს გააჩნია დამატებით გასასვლელი გზა-კარი.

კედლები მოეწყობა ბეტონის ბლოკის წყობით. სვეტები, რიგელები და გადახურვის ფილა გაკეთდება სხმული ბეტონისაგან. ღიობები შეივსება შავი ფერის მეტალო პლასტმასის ფანჯრებითა და კარებებით. შენობის ფასადები დამუშავდება ბუნებრივი ქვით.

- პროექტის კონსტრუქციული სტრუქტურის აღწერა

შენობის სტრუქტურულ ნაწილს წარმოადგენს საძირკვლის გაძლიერებული ბეტონის კარკასი, რომელიც შედგება გაძლიერებული ბეტონის სვეტებისაგან, სართულშუა გადახურვის, და სახურავის ფილისაგან, შიგა გზა-კიბის სტრუქტურა შედგება გაძლიერებული ბეტონისაგან.

ტელ: 593 22 20 33
595 65 15 56

საექსპერტო დასკვნის მოსამზადებლად მოწოდებულ იქნა არქიტექტურული პროექტი რომელიც მოიცავს შემდეგ მასალებს:

1. განმარტებითი ბარათს;
2. პირობითი აღნიშვნებს;
3. შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესებთან შესაბამისობის ანალიზს;
4. მიწის ნაკვეთის ტოპოგრაფიული გეგმას;
5. საპროექტო შენობის გენგეგმა მიმდებარე საკადასტრო ხაზების და გზების დატანით;
6. არსებული სიტუაციის ამსახველი ფოტომასალას;
7. შენობა-ნაგებობის ყველა სართულის გეგმას;
8. შენობა-ნაგებობის ფასადებს;
9. შენობა-ნაგებობის ჭრილებს;
10. დაკავებულობის და ხანძარსაწინააღმდეგო სისტემის გეგმებს (აღნიშნული მოიცავს: დაკავებულობის დატვირთვებს; გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობებს; გასასვლელებს; გასასვლელთან მისადგომებს; გასავლელებსა და შენობიდან გამოსასვლელებს; გასასვლელამდე სავალ მაქსიმალურ მანძილებს; ცეცხლმედეგობის ხარისხიან მოთხოვნილ გამმიჯნავებს)
11. პანდუსების და კიბის უჯრედების დეტალურ ნახაზებს;
12. ფასადის დეტალურ ნახაზებს;
13. სახურავის დეტალურ ნახაზებს;
14. შენობის ვიზუალურ ნაწილს (რენდერი);

შენიშვნა: დოკუმენტაციის სისწორეზე და რეალობასთან შესაბამისობაზე პასუხისმგებელია მომწოდებელი მხარე

ტელ: 593 22 20 33
595 65 15 56

საექსპერტო დასკვნა საქართველოს მთავრობის 2019 წლის №255 დადგენილების 21-ე მუხლის მე-5 პუნქტის მიხედვით მოიცავს შემდეგ ნაწილებს:

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვების შეფასებას;
2. კონსტრუქციის ტიპების შეფასებას;
3. სიმაღლისა და ფართობის შეფასებას;
4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომების, გასავლელებისა და შენობიდან გამოსასვლელების შეფასებას;
5. გზა-კიბეებისა და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობების შეფასებას;
6. მისაწვდომობის შეფასებას;
7. გადამზიდი საშუალებების შეფასება;
8. გარე კედლებისადმი მოთხოვნების შეფასებას;
9. სახურავის ანაწყობების შეფასებას;
10. ცეცხლმედეგობის ხარისხიანი მოთხოვნილი გამმიჯნავების შეფასებას;
11. ხანძრისაგან დაცვის სისტემების შეფასებას;
12. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასებას;
13. ხანძრის მართვის ცენტრის შეფასება;
14. შემოზღუდული ავტოსადგომების შეფასება;
15. საჭიროების შემთხვევაში, სხვა მოთხოვნების შეფასებას.

ტელ: 593 22 20 33
595 65 15 56

1. დაკავებულობ(ებ)ისა და დაკავებულობის დატვირთვის შეფასება:

წესების მე-3 თავის მიხედვით საპროექტო ობიექტისათვის და მისი ცალკეული ნაწილებისათვის განსაზღვრულია დაკავებულობები და დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორები **წესების 1004.1.2** ცხრილის შესაბამისად.

- **სც-3 (310.5)** საცხოვრებელი ჯგუფი, რომელიც წესების მიხედვით მოიცავს "შენობები, რომელიც არ მოიცავს ორზე მეტ საცხოვრებელ ერთეულს". დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი **18.6 მთლიანი** წესების **1004.1.2** ქვეთავი მიხედვით.

- **სწ-2 (311.3)** სასაწყობო ჯგუფი, რომელიც წესების მიხედვით მოიცავს არა წვადი მასალის შესანახ სასაწყობო სივრცეებს და კერძო ავტოსადგომებს. დაკავებულობის დატვირთვის ფაქტორი დამხმარე **27.9 მთლიანი** დამხმარე ფართობისთვის, ავტოსადგომი **18.6 მთლიანი** წესების **1004.1.2** ქვეთავი მიხედვით.

დაკავებულობის დატვირთვის მაჩვენებლები დამრგვალებულია მთელი რიცხვის სიზუსტით

იატაკის მთლიანი ფართობების განლაგება სართულების მიხედვით

	სც-3	სწ-2
-1 სართული	X	-
1 სართული	X	X
2 სართული	X	-

ტელ: 593 22 20 33
595 65 15 56

2. კონსტრუქციის ტიპის შეფასება:

- პროექტის კვლევის საფუძველზე შენობა-ნაგებობა განისაზღვრა **V-B ტიპის** კონსტრუქციად, რომელიც შერჩეულ იქნა შენობის დაკავებულობის, სიმაღლისა და სართულის ფართობის მიხედვით და აკმაყოფილებს **წესების 503** ცხრილის მოთხოვნებს.
- შენობის ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები განსაზღვრულია **წესების 601** და **602** ქვეთავების მიხედვით

წესების 601 ცხრილის მიხედვით ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები შენობის ელემენტებისათვის

V-B ტიპი	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
ძირითადი სტრუქტურული ჩარჩო	0	0
გარე მზიდი კედელი	0	0
შიდა მზიდი კედელი	0	0
არამზიდი კედლები და ტიხრები გარე	602 ცხრილის მიხედვით	
არამზიდი კედლები და ტიხრები შიდა	0	0
იატაკის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები	0	0
სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები	0	0

PROJECT

ტელ: 593 22 20 33
595 65 15 56

წესების 602 ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნები გარე კედლებისათვის ხანძარსაწინააღმდეგო მანძილის მიხედვით

V-B ტიპი	ხანძარსაწინ. მანძილი	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
ფასადი 1-6 ღერძებს შორის	> 3.0	0	0
ფასადი 6-1 ღერძებს შორის	> 3.0	0	0
ფასადი ა'-თ ღერძებს შორის	> 3.0	0	0
ფასადი თ-დ ღერძებს შორის	< 3.0	1	1
ფასადი დ-გ ღერძებს შორის	> 3.0	0	0
ფასადი გ-ა' ღერძებს შორის	< 3.0	1	1

EURO PROJECT

ტელ: 593 22 20 33
595 65 15 56

3. სიმაღლისა და ფართობის შეფასება:

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე **503** ცხრილის მიხედვით (**სც-3** დაკავებულობით) ნაგებობის დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

სც-3	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	3	3
ფართი	შეუზღუდავი	260,3
სიმაღლე	12.20	10.70

კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე **503** ცხრილის მიხედვით (**სწ-2** დაკავებულობით) ნაგებობის დასაშვები სართულიანობა, ფართი და სიმაღლე

სწ-2	დასაშვები	საპროექტო
სართულიანობა	1	1
ფართი	შეუზღუდავი	37.8
სიმაღლე	12.20	10.70

ტელ: 593 22 20 33
595 65 15 56

4. გასასვლელების, გასასვლელთან მისადგომის, გასასვლელებისა და შენობიდან გამოსასვლელის შეფასება:

გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი და შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა შენობის თითოეული სართულის დაკავებულობის დატვირთვის, გასასვლელამდე სავალი მანძილის, ჩიხურ დერეფნებთან დაკავშირებული შეზღუდვების და გასასვლელის კომპონენტების ზომების საფუძველზე **მე-10** თავის შესაბამისად.

აღნიშნულ ნაწილში წარმოდგენილი პროექტი აკმაყოფილებს „წესების“ მოთხოვნებს, კერძოდ:

- გასასვლელების სისტემაში შემავალი სამივე ელემენტის (გასასვლელთან მისადგომი, გასასვლელი და შენობიდან გამოსასვლელი) ანალიზი განხორციელდა **მე-10** თავის შესაბამისად.

- შენობა-ნაგებობას სც-3 დაკავებულობის **წესების 1021.2** ქვეთავის გამონაკლისი 2-ის მიხედვით ემსახურება ერთი გასასვლელთან მისადგომის გზა-კიბე.

- სართულებს ერთთმანეთთან აკავშირებს ერთი გზა კიბე, **წესების 1009.3** ქვეთავის გამონაკლისი 2-ის მიხედვით ამ გზა-კიბეების შემოზღუდვა საჭირო არაა. შენობას გააჩნია ორი გასასვლელი იგი მდებარეობს პირველ სართულზე და დაკავშირებულია გზა კიბესთან, რომლებიც შენობიდან პირდაპირ გარეთ გადის და ხვდება საზოგადოებრივ სივრცეში. ნაგებობის გასასვლელები სრულ შესაბამისობაშია წესებთან და აკმაყოფილებს ყველანაირ მოთხოვნებს.

- გასასვლელის გზა-კარები მოწყობილია **წესების 1008** ქვეთავის შესაბამისად და აკმაყოფილებს ყველა მოთხოვნას.

- პირველი სართულიზე არსებული შენობიდან გამოსასვლელები **წესების 1027** ქვეთავის შესაბამისადა დაგეგმარებული. ერთის შესასლელი მდებარეობს გრუნტის დონეზე, ხოლო მეორე გრუნტიდან აწეულია 13 საფეხურით.

- გასასვლელთან მისადგომი სავალი მანძილის ზომები დაანგარიშებულია სწორედ, საცხოვრებელ ერთეულს ესაჭიროება მაქსიმუმ 60.0 მეტრი სიგრძის გასასვლელამდე სავალი მანძილი. პროექტის მიხედვით ეს მანძილი ნაკლებია და აკმაყოფილებს წესების 1016.2 ქვეთავის მოთხოვნებს.

- **წესების 1006.1** ქვეთავის მე-3 გამონაკლისის შესაბამისად გასასვლელი საშუალების საავარიო განათებულობის მოწყობას არ საჭიროებს.

- **წესების 1011.1** ქვეთავის მე-3 გამონაკლისის შესაბამისად გასასვლელი ნიშნების დაყენებას არ საჭიროებს.

ტელ: 593 22 20 33
595 65 15 56

შენიშვნა:
გასასვლელი საშუალებების ჭერის სიმაღლე არ უნდა იყოს 2,3 მ-ზე ნაკლები.
კარის თავისუფალი სიმაღლე არ უნდა იყოს 1,98 მ-ზე ნაკლები.

5. გზა-კიბეების და სხვა გასასვლელი საშუალებების გამტარუნარიანობის შეფასება:

- ნაგებობაში პროექტით გათვალისწინებულია ერთი შიგა გასასვლელის გზა-კიბე. მისი სიგანე არის 110 სმ_ზე მეტი. რაც აკმაყოფილებს **წესების 1005.3.1** და **1009.4** ქვეთავების მოთხოვნებს.

- კიბეზე სავალი ზედაპირის ღია მხარის გასწვრივ მოწყობილია მოაჯირი **წესების 1013** ქვეთავის შესაბამისად, ხოლო კედლის მხარეს მოწყობილია სახელური **წესების 1012** ქვეთავის მოთხოვნათა დაცვით.

- სწორედ არის განსაზღვრული საფეხურების შუბლის სიმაღლე და თარაზული ზედაპირის სიღრმე, რაც აკმაყოფილებს **წესების 1009.7.2** ქვეთავის მოთხოვნებს, ხოლო გზა-კიბის ბაქნების ზომები შეესაბამება **წესების 1009.8** ქვეთავის მოთხოვნებს.

- სხვა გასასვლელი საშუალებები სწორედ არის დაგეგმარებული დერეფნის სიგანე აკმაყოფილებს **წესების 1018.2** და **1005.3.2** ქვეთავის მოთხოვნებს.

- ყველა კარი (რაც გასასვლელი საშუალების ნაწილია) აკმაყოფილებს **წესების 1008.11** ქვეთავის მოთხოვნებს.

6. მისაწვდომობის შეფასება:

- **წესების 1103.2.4** ქვეთავის მიხედვით ცალკე მდგომი ერთი ან ორ ერთეულიანი (ბინიანი) საცხოვრებლები და მათი დამხმარე ნაგებობები, ასევე, მათთან დაკავშირებული ადგილები და საშუალებები, არ საჭიროებს მისაწვდომობას.

7. ლიფტების შეფასება:

- არ მოეთხოვება.

8. გარე კედლისადმი მოთხოვნების შეფასება:

საპროექტო ნაგებობების გარე კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს წესების მოთხოვნებს. კერძოდ:

- ფასადიდან ნაშვერების ზომა აკმაყოფილებს **წესების 705.2** ქვეთავის მოთხოვნებს.

ტელ: 593 22 20 33
595 65 15 56

- დაცულია **წესების 705.8.5** ქვეთავის მოთხოვნები, მომიჯნავე სართულების ღიობების ერთმანეთისგან შვეულ დაშორებებთან მიმართებაში.

- გარე არამზიდი კედლების ცეცხლმედეგობის ხარისხი აკმაყოფილებს **წესების 602** ცხრილის მოთხოვნებს.

- გარე კედლის ღიობის მაქსიმალური ფართობი, ხანძარსაწინააღმდეგო მანძილები და ღიობის დაცვის ხარისხი, განსაზღვრულია წესების 705 ქვეთავის მიხედვით და აკმაყოფილებს წესების 705.8 ცხრილის მოთხოვნებს, შემდეგი სქემით:

• V-B ტიპი	ხანძარსაწინ. მანძილი	მოთხოვნილი	გათვალისწინებული
ფასადი 1-6 ღერძებს შორის	> 1.5	შეუზღუდავი	აკმაყოფილებს
ფასადი 6-1 ღერძებს შორის	> 1.5	შეუზღუდავი	აკმაყოფილებს
ფასადი ა'-თ ღერძებს შორის	> 1.5	შეუზღუდავი	აკმაყოფილებს
ფასადი თ-დ ღერძებს შორის	< 1.5	დაუშვებელია	-
ფასადი დ-გ ღერძებს შორის	> 1.5	შეუზღუდავი	აკმაყოფილებს
ფასადი გ-ა' ღერძებს შორის	< 1.5	დაუშვებელია	-

შენიშვნა:
წესების 705.8 ცხრილის „3“ გამონაკლისის თანახმად, დაუცველი და დაცული ღიობების ფართობი სც-3 ჯგუფის ფართობებზე შეუზღუდავია, რომელთა ხანძარსაწინააღმდეგო მანძილი 1,5 მ ან ამაზე მეტია

- გარე კედლების ანაწყობი, გამოყენებული მასალები და მოპირკეთების ხარისხი აკმაყოფილებს **წესების 14** თავის მოთხოვნებს

9. სახურავის ანაწყობის შეფასება:

- სახურავის კონსტრუქცია და არაძირითადი ნაწილები განსაზღვრულია **წესების 601** ცხრილის მიხედვით. შენობის **V-A** კონსტრუქციის ტიპიდან გამომდინარე არ საჭიროებს სახურავის ცეცხლმედეგობის ხარისხს.

ტელ: 593 22 20 33
595 65 15 56

10. ცეცხლმედეგობის ხარისხის მოთხოვნილი გამიჯვნების შეფასება:

- **წესების 508.4** ცხრილის მიხედვით **სც-3** დაკავებულობაში შიდა გამმიჯნავ კედლებს ცეცხლმედეგობა არ მოეთხოვება.

11. ხანძრისგან დაცვის სისტემის შეფასება:

- **წესების 907.2.11.2** ქვეთავის მიხედვით **სც-3** დაკავებულობაში თითოეულ საცხოვრებელ და საძინებელ ერთეულის ჭერზე მოწყობილია კვამლზე მორეაგირე მაუწყებლის ერთი და მრავალბლოკიანი მოწყობილობები

12. წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობების შეფასება:

- წყალსადენი სისტემის ფიქსირებული მოწყობილობის რაოდენობა შეესაბამება **წესების** ცხრილის 1602.1 მოთხოვნებს.

EURO PROJECT

ტელ: 593 22 20 33
595 65 15 56

დ ა ს კ ვ ნ ა

ქალაქი თბილისი, სოფელი ლისი, (ს/კ 72.16.20.226) ინდივიდუალური ერთ ბინიანი საცხოვრებელი სახლის **არქიტექტურული პროექტი** სრულად შესაბამისობაშია ტექნიკურ რეგლამენტთან - „შენობა ნაგებობის უსაფრთხოების წესები“. ასევე ვადასტურებ დოკუმენტაცია შედგენილია კარგ ტექნიკურ დონეზე და მოიცავს წესებთან შესაბამისობისთვის ყველა საჭირო ინფორმაციას. საექსპერტო დასკვნის საფუძველზე პროექტს ეძლევა დადებითი შეფასება.

EURO PROJECT

ექსპერტი: ლევანი ოქროპირიძე

ტელ: 593 22 20 33
595 65 15 56

ლევანი ოქროპირიძე

პერსონალური ინფორმაცია

სახელი, გვარი	ლევანი ოქროპირიძე
დაბადების თარიღი	03.07.1985
დაბადების ადგილი	რუსთავი
მისამართი	ქ. თბილისი, ბურძგლას ქ. N28
ტელეფონის ნომერი	595 65 15 56
E-mail:	okropira@gmail.com

განათლება

უნივერსიტეტი ფაკულტეტი	2003-2007 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. ენერგეტიკის და ტელეკომუნიკაციის ფაკულტეტი. სპეციალობა - ინჟინერი, ბაკალავრი.
უნივერსიტეტი ფაკულტეტი	2010-2012 თბილისის აპოლონ ქუთათელაძის სახელობის სამხატვრო აკადემია. არქიტექტურის ფაკულტეტი. სპეციალობა - ინტერიერის დიზაინერი, მაგისტრი.
უნივერსიტეტი ფაკულტეტი	2017 საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი. არქიტექტურის, ურბანისტიკის და დიზაინის ფაკულტეტი - დოქტორუანტურა

სამუშაო გამოცდილება

2006-2011 - შპს „დ პლუსი“ - სამშენებლო კომპანია არქიტექტორი (პროექტის შედგენა, შეთანხმება შესაბამის ორგანოებთან)

2013_დან დღემდე - შპს „ენ ენ ჯგუფი“ - სამშენებლო კომპანია

	არქიტექტორი (პროექტის შედგენა, შეთანხმება შესაბამის ორგანოებთან) 2011_დან 2019 წლამდე - შპს „საინვესტიციო დეველოპერული კომპანია ათორი“ - სამშენებლო კომპანია მთავარი არქიტექტორი (პროექტის შედგენა, შეთანხმება შესაბამის ორგანოებთან)

კომპიუტერული პროგრამები

	AutoCAD, ArchiCAD, Revit, 3D’s Max, Photoshop, CorelDraw

ენები

ქართული	მშობლიური
ინგლისური	კარგი
რუსული	კარგი

ინტერესთა სფერო

კითხვა, მუსიკის მოსმენა, მოგზაურობა.

განმცხადებელი ლ. ოქროპირიძე

თარიღი: 02.02.2020


სერტიფიკატი

№ 2017-081

გადაეცემა

ლევან ოქროპირიძეს

მასზედ, რომ მან წარმატებით გაიარა შენობა-ნაგებობის უსაფრთხოების წესების კურსი



„შენობა ნაგებობების ინსტიტუტი - საქართველო“

თეიმურაზ ბოლოთაშვილი, დირექტორი

საქართველო

თბილისის აპოლონ ქუთათელაძის
სახელობის სახელმწიფო
სამხატვრო აკადემია

მაგისტრის დიპლომი

TSAA № 000097

არქიტექტურის

ფაკულტეტის 2012 წლის 25 ივლისის № 3

გადაწყვეტილებით ლევან ოქროპირიძეს მიენიჭა

ინტერიერის დიზაინის

მაგისტრის აკადემიური ხარისხი

დეკანი
Dean ნოდარ ამაშუკელი
/ Nodar Amashukeli /

რექტორი
Rector თინათინ კლდიაშვილი
/ Tinatin Kldiashvili /

თბილისი
TBILISI

05 / რიცხვი/ day
09 / თვე/month
2013 / წელი/year

GEORGIA

APOLLON KUTATELADZE
TBILISI STATE
ACADEMY OF ART

MASTER'S DIPLOMA

TSAA № 000097

By Decision № 3 of 25 July 2012 of the Faculty of

Architecture

Levani Okropiridze

was awarded the Degree of Master of

Interior Design

ბ.ა.
Seal

სარეგისტრაციო №
REGISTRATION 155


Georgia
IDENTITY CARD
მოქალაქის პირადობის მოწმობა
საქართველო
GEO
სახელი / FIRST NAME
ლევანი
LEVANI
გვარი / LAST NAME
ოქროპირიძე
OKROPIRIDZE
მოქ. / CIT
GEO
სქესი / SEX
მმ / M
პირადი No / PERSONAL No
35001052365
დაბადების თარიღი
DATE OF BIRTH
03.07.1985
მოქმედების ვადა
DATE OF EXPIRY
18.05.2022
ხელმოწერა
SIGNATURE
ბარათის No / CARD No
11ID54620


დაბადების ადგილი / PLACE OF BIRTH
რუსთავი
RUSTAVI
გაცემის თარიღი / DATE OF ISSUE
18.05.2012
გამცემი ორგანო / ISSUING AUTHORITY
იუსტიციის სამინისტრო
MINISTRY OF JUSTICE
IDGE011ID54620635001052365<<<<
8507033M2205186GE0<<<<<<<<<<<2
OKROPIRIDZE<<LEVANI<<<<<<<<<<<